F 171
1957

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9-10

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

სექტემბერი—ოქტომბერი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1282/კ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 22 აგვისტო

საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა უფლებების გაფართოების შესახებ

F 2037

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 14 აგვისტოს № 525 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა აწარმოონ დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისა და გამგეების, აგრეთვე 7 წლიანი და საშუალო სკოლების პირველი ოთხი კლასის მასწავლებლების დანიშვნა, გადაყვანა და დათხოვნა;

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ აწარმოოს დაწყებითი სკოლების მასწავლებლების და გამგეების, 7 წლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლების, აგრეთვე თბილისის რაიონებისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა სასკოლო ინსპექტორების დანიშვნა, გადაყვანა და დათხოვნა.

3. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა აწარმოონ საგამოცდო კომისიის (სიმწიფის ატესტატზე) დამტკიცება ცალკეული სკოლების მიხედვით.

4. დაწესდეს, რომ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს უფლება ეძლევათ:

ა) დანიშნონ, გადაიყვანონ და დაითხოვონ ქალაქებსა და რაიონებზე დაქვემდებარებული სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკები;

ბ) გადაიყვანონ გამოსაშვები კლასების მოსწავლეები ერთი საშუალო სკოლიდან მეორეში;

გ) გაათავისუფლონ მოსწავლეები ავადმყოფობის გამო სიმწიფის ატესტატზე გამოცდებიდან;

დ) განახორციელონ კონტროლი განათლების სამინისტროზე დაქვემდებარებული სკოლებისა და სხვა დაწესებულებების (საბავშვო სახლების, პედსასწავლებლების, პიონერთა სასახლეების, ტექნიკური სადგურებისა და სხვ. (გარდა ინსტიტუტებისა და მათი ფილიალებისა) მუშაკებზე.

5. დაევალოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას (ამხ. ა. კვაჭაძე) ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს წინადადებები მასწავლებელთა ხელფასის გაცემის წესის შეცვლის შესახებ.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის განათლების განყოფილებას განიხილონ კოლეგიისა და განყოფილების საბჭოს სხდომაზე საკითხი ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა უფლებების გაფართოების შ ე ს ა ხ ე ბ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1310

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 27 აგვისტო

საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედური პუნქტების დებულების დამტკიცების შესახებ

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 15 აგვისტოს № 11466-გ. განკარგულების შესაბამისად დამტკიცდეს საშუალო სკოლებთან არსებულ ლოგოპედური პუნქტების დებულება.

2. დებულება დაიბეჭდოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წ. 23 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს მიერ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედური პუნქტების შესახებ

I

ს ა ე რ თ ო დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 15 აგვისტოს № 11466-გ. განკარგულების საფუძველზე საშუალო სკოლებთან არსდება ლოგოპედური პუნქტები.

2. საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედური პუნქტები იმყოფებიან საოლქო, საქალაქო განათლების განყოფილებათა და ასსრ განათლების სამინისტროების გამგებლობაში და მათ ბიუჯეტზე.

3. ლოგოპედური პუნქტების ამოცანები:

ა) მოსწავლეთა მეტყველების სხვადასხვა სახის ნაკლოვანებათა გამოსწორება (წარმოთქმის ნაკლოვანება, აგრაფია, ალექსია, ენაბლუობა და ა. შ.);

ბ) ლოგოპედურ ცოდნათა პროპაგანდა, როგორც მასწავლებელთა, ისე მოსახლეობას შორის (მოხსენება-საუბრები მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ; სტატიები ადგილობრივ პრესაში ამავე საკითხებზე; ლექციები რადიოთი და სხვა).

4. ლოგოპედურ პუნქტში მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსწორება სწარმოებს უფასოდ.

II

ლ ო გ ო პ ე დ უ რ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

1. ლოგოპედური პუნქტი ემსახურება მასზე მიმაგრებული ქალაქის, რაიონის, დასახლების დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

2. ლოგოპედურ პუნქტებში მიიღებიან ის მოსწავლეები, რომ-ლებიც გამოვლინებულ იქნენ ლოგოპედის მიერ პუნქტზე მიმაგრებული სკოლების გამოკვლევის შედეგად, აგრეთვე, სკოლის მასწავლებელთა ან რაიონული პოლიკლინიკების ექიმთა და მშობელთა მიმართვით. მეტყველების ნაკლოვანების მქონე მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ჟურნალში (იხ. ფორმა № 1);

3. ლოგოპედურ პუნქტზე მოსწავლეებთან მეცადინეობა ტარდება საკლასო მეცადინეობისაგან თავისუფალ საათებში.

4. ლოგოპედურ პუნქტზე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ძირითად ფორმას მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსასწორებელი ჯგუფური მეცადინეობა წარმოადგენს;

ლოგოპედურ პუნქტზე თვითეულ ჯგუფთან მეცადინეობა კვირაში 3-ჯერ ტარდება (დღეგამოშვებით). ერთდროულად პუნქტზე მეცადინეობს 30—40 მოსწავლე. პუნქტზე მიღებული მოსწავლეების რეგისტრაცია ხდება ჟურნალში (იხ. ფორმა № 3);

5. ჯგუფური მეცადინეობისათვის შეძლებისამებრ შეირჩევიან მეტყველებაში ერთგვარი დარღვევებისა და ასაკის მქონე მოსწავლეები. ჯგუფების დაკომპლექტება 6—8 მოსწავლის შემადგენლობით ხდება;

6. ყოველი ჯგუფისათვის ლოგოპედურ მეცადინეობათა ხანგრძლიობა 1 აკადემიური საათით განისაზღვრება. ჯგუფების მეცადინეობათა შორის შესვენება 10—15 წუთია.

აუცილებლობის შემთხვევაში ტარდება ინდივიდუალური მეცადინეობა თითოეულ მოსწავლესთან კვირაში 3-ჯერ 15—20 წუთის ხანგრძლიობით.

7. მეტყველების ნაკლოვანების გამოსწორების მეთოდები, რომელსაც მასწავლებელი—ლოგოპედი იყენებს, მიმართულია ბავშვების მიერ საკუთარ მეტყველებაში ნაკლოვანებათა დაძლევის აქტიური, დამოუკიდებელი ჩვევის გამომუშავებისაკენ;

8. მეტყველების გამოსწორებისათვის გამოყენებული სასწავლო მასალა (სიტყვები, ტექსტები, სურათები და ა. შ.) უნდა უპასუხებდეს სასწავლო-საალმზრდელო ამოცანებს და შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკს და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონეს;

9. მასწავლებელი-ლოგოპედი ადგენს სასწავლო წლის მუშაობის საერთო გეგმას, რომელშიაც გათვალისწინებულია ლოგოპედურ მეცადინეობათა ყველა განყოფილება;

10. საერთო გეგმის გარდა, ლოგოპედი ადგენს სამუშაო გეგმას მოსწავლეთა თითოეული ჯგუფისათვის და მუშაობის ინდივიდუალურ გეგმებს იმ მოსწავლეთათვის, რომლებთანაც მუშაობა ინდივიდუალურად სწარმოებს.

ბიბლიოთეკა

11. ლოგოპედურ პუნქტში მიღებულ ყოველ მოსწავლეზე ლოგოპედი ავსებს მოსწავლის პირად ფურცელს (იხ. ფორმა № 2);

12. ლოგოპედურ პუნქტში მეცადინეობებზე მოსწავლეთა დასწრების პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელ ლოგოპედს და იმ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესა და კლასის ხელმძღვანელს, სადაც მოსწავლე სწავლობს;

13. ლოგოპედურ პუნქტში მეცადინეობის დამთავრებისას ლოგოპედი, კლასის ხელმძღვანელის მონაწილეობით, ადგენს წერილობით დასკვნას მოსწავლის მეტყველების მდგომარეობის შესახებ. დასკვნას ეცნობა მშობელი. დასკვნის ასლი გადაეცემა იმ სკოლას, რომელშიაც მოსწავლე სწავლობს.

III

მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი

1. ლოგოპედურ პუნქტებში მიიღებიან დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მეტყველების სხვადასხვა ნაკლოვანება. მასიური სკოლების ის მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მეტყველების ნაკლოვანებანი სმენის დაქვეითების შედეგად (მსუბუქი სახის სმენაჩლუნგობა), ლოგოპედურ დახმარებას სკოლის პუნქტში იღებენ;

2. მეტყველების ნაკლოვანებათა მქონე მოსწავლეები (მათი შესწავლის მიზნით) ლოგოპედის მიერ საჭიროებისამებრ იგზავნებიან რაიონულ პოლიკლინიკაში ექიმ-სპეციალისტებთან (ნევრო-პათოლოგთან, ფსიქონევროლოგთან, ოტოლარინგოლოგთან). ექიმ-სპეციალისტების დასკვნები ინახება ლოგოპედურ პუნქტში;

3. ლოგოპედურ პუნქტებში მოსწავლეთა მიღება იწყება 1 სექტემბერს და მეცადინეობა მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა მიერ განთავისუფლებული ადგილების მიხედვით. მოსწავლეთა გამოშვება ხდება მათი მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსწორების შემდეგ.

4. ყოველი მოსწავლე პუნქტში მეცადინეობას ესწრება კვირაში 3-ჯერ (დღეგამოშვებით);

5. მეცადინეობებზე დასწრება, აგრეთვე საერთო-სასკოლო მოსწავლეთა წესების დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, ვინც მიღებულია ლოგოპედურ პუნქტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

მასწავლებელი-ლოგოპედი

1. მასწავლებელ-ლოგოპედებად დაინიშნებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ უმაღლესი დეფექტოლოგიური ან ზოგად-პედაგოგიური განათლება და გავლილი აქვთ ლოგოპედთა მომზადების სავალდებულო კურსები;

2. მასწავლებელი-ლოგოპედი ითვლება ლოგოპედური კაბინეტის გამგედაც;

3. მასწავლებელი-ლოგოპედები სამუშაოზე ინიშნებიან, გადაიყვანებიან და თავისუფლდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ;

4. მასწავლებელი-ლოგოპედი ლოგოპედურ პუნქტში მუშაობის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელია რაიონულ, საქალაქო ან საოლქო განათლების განყოფილების წინაშე;

5. მოსწავლეებთან ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლიობა განისაზღვრება 3 აკადემიური საათით (72 საათი თვეში). მეცადინეობისათვის მომზადება, გაკვეთილებზე დასწრება, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ლოგოპედური პუნქტის მთელი დოკუმენტაციის წარმოება, რვეულების შემოწმება და პედაგოგიურ საბჭოში მონაწილეობა ხდება აღნიშნული დროის გარეშე.

6. მასწავლებელ-ლოგოპედის მოვალეობას შეადგენს:

ა) მიმაგრებული სკოლებისადმი ლოგოპედური პუნქტის მუშაობის ამოცანებისა და შინაარსის გაცნობა;

ბ) ლოგოპედურ პუნქტზე მეცადინეობისათვის მეტყველების ნაკლოვანებათა მქონე მოსწავლეების შერჩევა და მათთან მეცადინეობის მორიგეობისა და მისი ხანგრძლიობის დადგენა;

გ) მოსწავლეებთან მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსასწორებელი სისტემატური მუშაობის ჩატარება;

დ) ლოგოპედური პუნქტის მოსწავლეთა სასწავლო ნაწილის გამგეებსა და კლასის ხელმძღვანელებთან სისტემატური კავშირის დამყარება მუშაობის სისტემის, მეთოდებისა და ხერხების ურთიერთ გაზიარებისათვის, აგრეთვე მეტყველების ნაკლოვანების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ერთიანი მიმართულების გამოსამუშავებლად.

მასწავლებელ-ლოგოპედს უფლება აქვს დაესწროს გაკვეთილებს პუნქტზე მიმაგრებულ სკოლებში;

ე) რაიონული პოლიკლინიკის ექიმ-სპეციალისტებთან დაკავშირებული ლინიკის ლოგოპედთან სისტემატური კავშირის დამყარება მოსწავლეებზე კომპლექსური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად;

ვ) მეტყველების ნაკლოვანებათა მქონე ბავშვების დროული გამოვლინების მიზნით თავისი რაიონის საბავშვო ბაღების უფროსი ჯგუფების გამოკვლევა და მათთან მეტყველების გამოსასწორებელი მუშაობის ჩატარება საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში აგრეთვე ზაფხულის თვეებში, როცა სკოლაში მეცადინეობა შეწყვეტილია, ლოგოპედის შვებულების დროის გამორიცხვით;

ზ) მასწავლებელთა, საბავშვო ბაღის აღმზრდელთა, ექიმთა და მშობელთა კოლექტივებს შორის ლოგოპედური მუშაობის პროპაგანდა. სკოლის პედსაბჭოებზე და მშობელთა კრებებზე მასწავლებელი-ლოგოპედი პერიოდულად აკეთებს მოხსენებებს ლოგოპედური პუნქტის მუშაობის და მეტყველების ნაკლოვანების მქონე მოსწავლეთა წარმატების ამაღლების ღონისძიებათა შესახებ. სასურველია მასწავლებელ-ლოგოპედის მონაწილეობა უმცროსი და უფროსი კლასების რუსული და ქართული ენების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებებში.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წ. 15/VIII № 11466-გ. განკარგულების შესაბამისად, ლოგოპედებზე, რომელთაც აქვთ (უმაღლესი) პედაგოგიური (დეფექტოლოგიური) განათლება და რომლებიც მუშაობენ ლოგოპედურ პუნქტებსა და ბავშვთა პოლიკლინიკებში, ვრცელდება VIII—X კლასებში რუსული ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის მასწავლებელთათვის დადგენილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10/11 № 245 დადგენილებით დაწესებული ხელფასის გაზრდა, აგრეთვე, ყველა უფლებები და უპირატესობანი, რომლებიც დადგენილია საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის;

8. მასწავლებელ-ლოგოპედებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში, ენიჭებათ შემდეგი უფლებები:

ა) უფლება პერიოდულ დანამატზე და პენსიაზე წელთა დამსახურებისათვის, საშუალო სკოლების მასწვლებლების თანაბრად;

ბ) უფლება ყოველწლიურ შვებულებაზე 48 სამუშაო დღის ხანგრძლიობით.

V

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგოპედური მუშაობის კონტროლი და ხელმძღვანელობა

1. მასწავლებელ-ლოგოპედის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების, ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო სამმართველოს, საოლქო, საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილების მიერ;

2. ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხარეო (საოლქო), საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებას ეკისრება სასკოლო ლოგოპედური პუნქტების სათანადო ბინით და მოწყობილობით მომარაგების პასუხისმგებლობა;

3. ასსრ განათლების სამინისტროების სასკოლო სამმართველოს, სამხარეო (საოლქო) საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებების ინსპექტორებმა სისტემატურად უნდა გაუწიონ კონტროლი ლოგოპედურ პუნქტებში სასწავლო მუშაობას:

ა) ლოგოპედური პუნქტის მოსწავლეთა შემადგენლობას და მუშაობის ორგანიზაციას;

ბ) მეტყველების ნაკლოვანებათა მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მეთოდებს;

გ) ლოგოპედური პუნქტების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით მომარაგებას და მათ გამოყენებას;

დ) ლოგოპედური პუნქტის დოკუმენტაციის გაფორმებას;

ე) დასწრებას, ლოგოპედური პუნქტის მიერ გამოშვებულ მოსწავლეთა რაოდენობას და მათი მეტყველების მდგომარეობას.

4. რამდენიმე ლოგოპედური პუნქტის არსებობის შემთხვევაში ქალაქის ან რაიონის პედაგოგიურ კაბინეტთან იქმნება რაიონის მასწავლებელ-ლოგოპედთა მეთოდგაერთიანება.

5. მასწავლებელ-ლოგოპედთა მეთოდ-გაერთიანების ხელმძღვანელობა ეკისრება ერთ-ერთ გამოცდილ ლოგოპედს, რომელიც ინიშნება განათლების განყოფილების მიერ.

მასწავლებელ-ლოგოპედთა მეთოდგაერთიანების ამოცანები:

ა) საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებზე მსჯელობის გზით ლოგოპედურ პუნქტებზე მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობა;

ბ) გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და სპეციალური ლი-

ტერატურის განხილვის მეშვეობით ლოგოპედების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა გატარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მასწავლებელ-ლოგოპედთა იდეურ-პოლიტიკური ამაღლება იმ სკოლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა მეშვეობით, რომელშიაც მუშაობს ლოგოპედი.

6. მეთოდურ მუშაობაზე და მასწავლებელ-ლოგოპედთა კვალიფიკაციის ამაღლების ყველა საკითხებზე მეთოდგაერთიანება ამყარებს კავშირის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის კაბინეტის მეთოდისტ-ლოგოპედთან.

7. ლოგოპედური პუნქტი სასწავლო წლის დასასრულს უდგენს მუშაობის წლიურ ანგარიშს სკოლის დირექტორს და სარაიონო (საქალაქო) განათლების განყოფილებას.

VI

ლ ო გ ო პ ე დ უ რ ი პ უ ნ ქ ტ ი ს ბ ი ნ ა, მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა დ ა დ ა ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ა

1. ლოგოპედური პუნქტი ყალიბდება რაიონის ცენტრში მოთავსებულ ერთ-ერთ საშუალო სკოლასთან და ევალება დახმარება გაუწიოს, როგორც მოცემული სკოლის, ისე პუნქტზე მიმაგრებული სხვა სკოლების მეტყველების ნაკლოვანების მქონე მოსწავლეებს;

2. იმ შემთხვევაში, თუ რაიონის სკოლები დიდად არიან დაშორებული ურთიერთისაგან, რაიონის ან ქალაქის განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით მასწავლებელ-ლოგოპედს ნება ეძლევა გაიხსნას ლოგოპედური პუნქტის ფილიალები რაიონის სხვა სკოლებში;

3. ლოგოპედური პუნქტის ერთი სკოლიდან მეორეში გადატანა დაშვებულია მხოლოდ ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილების ნებართვით.

4. სკოლა, რომელთანაც მოთავსებულია ლოგოპედური პუნქტი, ვალდებულია გამოუყოს პუნქტს არანაკლებ 20 კვ. მ. ფართობის ოთახი, რომელიც დააკმაყოფილებს სანიტარულ მოთხოვნებს.

5. სკოლის დირექტორს ეკისრება ლოგოპედური პუნქტის მოწყობის, რემონტისა და სანიტარული პირობების დაცვის პასუხისმგებლობა;

---

* ცალკეულ შემთხვევებში საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებებს უფლება ეძლევათ გახსნან ლოგოპედური პუნქტი საქალაქო და სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტებთან.

6. სკოლის გარდერობში ლოგოპედური პუნქტის მოსწავლეებს ეთმობა სპეციალური ადგილი.

7. ლოგოპედური პუნქტი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სპეციალური ხელსაწყოებით (იხ. დანართი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ლოგოპედური პუნქტის დაფინანსება უშუალოდ ხორციელდება საოლქო, საქალაქო, საარაონო განათლების განყოფილების მიერ იმ სკოლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელთანაც გახსნილია პუნქტი. სკოლის დირექტორი ახდენს იმ სახსრების ხარჯვას, რომელიც გათვალისწინებულია ლოგოპედური პუნქტისათვის, ლოგოპედური კაბინეტის გამგის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

ფორმა № 1

მეტყველების ნაკლოვანებათა მქონე მოსწავლეების
ს ი ა

(სიას ადგენს ლოგოპედი პუნქტთან მიმაგრებული სკოლების გამოკვლევისას)

ა) გვარი და სახელი

ბ) სკოლა

გ) კლასი

დ) ბინის მისამართი

ე) გამოკვლევის თარიღი

ვ) მეტყველების ნაკლოვანება

ზ) მოსწრება მშობლიურ ენაში (გამოკვლევის მომენტში)

თ) მიღებული ზომები (მიღებულია ლოგოპედურ პუნქტზე, მიეცა მითითება მასწავლებელს ან მშობლებს და ა. შ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

ფორმა № 2

მეტყველების გამოკვლევის ბარათი

(ბარათი ივსება ლოგოპედურ პუნქტში მიღებულ ყოველ მოსწავლეზე)

თ ა რ ი ღ ი

1. გვარი, სახელი, მამის სახელი
2. ასაკი—დაბადების წელი
3. მისამართი
4. სკოლა.... (ქართული, რუსული, სომხური) კლასი...
5. ეროვნება
6. ოჯახში სალაპარაკო ენა
7. აკადემიური წარმატება
8. როგორ განვითარდა მეტყველება

ა) როდის დაიწყო პირველი სიტყვების წარმოთქმა

ბ) როდის დაიწყო პირველი ფრაზების წარმოთქმა

გ) სწორად წარმოთქვამდა თუ არა ბგერებს სიტყვებში

9. სამეტყველო აპარატის მდგომარეობა (კბილები, ყბები, ენა, სასა)

10. ბგერათა წარმოთქმა: ა) იზოლირებულად და სიტყვებში (ნიმუშებით)

ბ) გაბმულ მეტყველებაში (ნიმუშებით).

11. კითხვა

12. წერა (გადმოწერა, კარნახით წერა, დამოუკიდებელი წერა)

13. სიტყვათა მარაგი (ნაცნობი საგნების, მოქმედებების და თვისებების დასახელება)

14. დამოუკიდებელი მეტყველება (რა სახის წინადადებებს იყენებს მარტივი გაუვრცობელი, მარტივი გავრცობილი, რთული);

15. მეტყველების გრამატიკული გაფორმება (სწორი, არასწორი) ნიმუშებით;

16. ბავშვის მშობლების, ოჯახის წევრების, ნათესავების მეტყველება (ენაჩლუნგობა, ენაბლუობა, აჩქარებული ტემპი, ყრუმუნჯობა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. მშობლის ჩვევილები (დახასიათება);

18. მასწავლებლის დახასიათება;

19. როდის იქნა შემჩნეული ენაბლუობის პირველი ნიშნები და რა მიზეზს უკავშირებენ;

20. გადატანილი ინფექციური და სხვა დაავადებანი (მეტყველების დაწყებამდე, მეტყველების დაწყების შემდეგ, ენაბლუობის დაწყებამდე);

21. ენაბლუობის შემდგომი მიმდინარეობა (პერიოდულად მეტყველების გაუმჯობესება ან გაუარესება; ენაბლუობის შეწყვეტა—როდის, რა ხანგრძლიობით);

22. სკოლის (საბავშვო ბაღის...) გავლენა ენაბლუობაზე;

23. საყოფაცხოვრებო პირობები და ბავშვის ენამოშლილობის მიმართ დამოკიდებულება ოჯახში;

24. იყო თუ არა მიღებული ზომები ენაბლუობის გამოსასწორებლად, სად, როდის, რა შედეგებით;

25. ენაბლუობის სახე (კლონიური, ტონიური, წერეული, სუნთქვის, ხმის, არტიკულაციური) ნიმუშებით;

26. მეტყველების ტემპი (აჩქარებული, ნელი, ნორმალური);

27. არტიკულაცია: მკაფიო, ზერელე, გაურკვეველი, მოდუნებული;

28. სამეტყველო სუნთქვა (რიტმიული, არიტმიული, მოკლე, წარმოთქმა შესუნთქვაზე და ა. შ.);

29. თანმხლები მოძრაობები (უნებლიე, ნებისმიერი);

30. „ძნელი" ბგერები და სიტყვები; ზედმეტი ბგერების ან სიტყვების ხმარება;

31. რა პირობებში ენაბლუობს მეტად (ოჯახში, ამხანაგებში, უცნობებთან, უფროსებთან, ოფიციალურ პირებთან, ტელეფონით ლაპარაკისას);

32. მეტყველების სახეების გამოკვლევა:

ა) სპონტანური;

ბ) მიბაძვითი;

გ) ჩურჩულით;

დ) რიტმიზებული (ლექსის კითხვა);

ე) კითხვა.

33. ჯანმრთელობის მდგომარეობა:

(სპეციალისტების—ნერვოპათოლოგის, თერაპევტის, ოკულისტის, ოტოლარინგოლოგის— დასკვნა და მიღებული ღონისძიება); სმენი-თი აღქმა მანძილზე—სასაუბრო მეტყველება, ჩურჩული (მარჯვენა ყურში, მარცხენა ყურში, ორივე ყურში);

34. რომელი ხელით მუშაობს;

35. მშობლების ჯანმრთელობა (დედის ჯანმრთელობა ფეხმძიმეობის პერიოდში, მშობიარობა ნაადრევი, გაძნელებული და ა. შ.);

36. ლოგოპედის დასკვნა;

37. ლოგოპედური მუშაობის მიმდინარეობა;

38. ლოგოპედური მუშაობის შედეგები და მუშაობის დამთავრების თარიღი.

F2037

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

ფორმა № 3

ლოგოპედურ პუნქტში მიღებულ მოსწავლეთა
ს ი ა

ა) გვარი, სახელი, მამის სახელი

ბ) სკოლა, კლასი

გ) ბინის მისამართი

დ) ლოგოპედურ პუნქტში მიღების თარიღი

ე) ლოგოპედური პუნქტიდან გამოშვების თარიღი

ვ) მეტყველების, წერისა და კითხვის მდგომარეობა ლოგოპედური პუნქტიდან გამოშვების მომენტში.

ლოგოპედის, მასწავლებლის და მშობლის ხელმოწერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

ფორმა № 4

დასწრების აღრიცხვის ჟურნალი

ჟურნალის მარცხენა მხარე	ჟურნალის მარჯვენა მხარე
ა) №№ რიგზე	ა) თარიღი
ბ) გვარი, სახელი	ბ) მეცადინეობის შინაარსი
გ) სკოლა, კლასი	გ) საშინაო დავალება
დ) თვე და რიცხვი	დ) შენიშვნები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 5

ლოგოპედური პუნქტის მოწყობილობის სია

1. კედლის სარკე ლოგოპედური მეცადინეობისათვის, 50×100 . . . . . 1 ცალი
2. მაგიდის სარკე 60×80 . . . . . 1 ცალი
3. სარკე ინდივიდუალური მეცადინეობისათვის 9×12 . . . . . 30 ცალი
4. ლოგოპედური ზონდები, შპატელები, სპირტი, ბამბა,
5. პირსაბანი, საპონი, პირსახოცი
6. კედლის საათი . . . . . 1 ცალი
7. მაგიდის ლამპები . . . . . 1 ცალი
8. ხალათები . . . . . 2 ცალი
9. საკლასო დაფა . . . . . 1 ცალი
10. კარადები . . . . . 2 ცალი
11. ლაბორატორიული მაგიდები . . . . . 4 ცალი
12. საკანცელარიო მაგიდები . . . . . 1 ცალი
13. სკამები . . . . . 12 ცალი
14. მაგნიტოფონი . . . . . 1 ცალი
15. მოძრავი ანბანი (რუსული და ქართული) სალაროტით . . . . . 10 ცალი
16. სპეციალური ცხრილები და სურათები (ცალკეულ ბგერებზე)
17. მეტყველების განვითარებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალა (საგნობრივი, სიუჟეტური სერიული სურათები და სხვა)
18. სამაგიდო თამაშობანი (სხვადასხვა ლოტოები, კუბიკები, მოზაიკები, სპეციალური ლოტოები და სხვა) და სათამაშოები (ავეჯი, ჭურჭელი, ცხოველები, ფრინველები და ა. შ.)
19. ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის, მეთოდური და სასწავლო ხელსაწყოები, საბავშო ლიტერატურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1433

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 19 სექტემბერი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1957 წლის საგაზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სასწავლო-მეთოდურ და საშეურნეო ორგანიზაციული საკითხების დროულად მოგვარების შედეგად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა 1957 წლის ივნისსა და ივლისში უზრუნველყო მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების ნორმალური მუშაობა. ლექციების ხარისხის ამაღლების, პრაქტიკული მუშაობის საათების გადიდების, მსმენელთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და სპეციალურ საგნებში შეფასება-შემოწმების წემოღების შედეგად ინსტიტუტმა საგრძნობლად აამაღლა მსმენელთა აქტივობა და მეთოდური დახელოვნების ხარისხი.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა გეგმის ზევით გახსნა თითო ჯგუფი—აფხაზური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენის, ფიზიკური აღზრდის, ქართული დაწყებითი კლასების, ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე, მუსიკის მასწავლებელთა და კინო დემონსტრატორების დახელოვნების კურსები; ორ-ორი ჯგუფი მათემატიკისა და აფხაზური დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნებისათვის, სულ 11 ჯგუფი, რის შედეგადაც ზაფხულის კურსებზე გეგმით გათვალისწინებული 83 ჯგუფის ნაცვლად გაიხსნა 94 ჯგუფი—2754 მსმენელით.

ინსტიტუტმა საჭირო ყურადღება მიაქცია პოლიტექნიკური ციკლის სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ დისციპლინებში დღემდე გადამზადებულია 1157

მასწავლებელი, მათ შორის: ფიზიკის—99, ბიოლოგიის—91, ქიმიის—84, მათემატიკის—342, გეოგრაფიის—119, დაწყებითი კლასების ხელგარჯილობის — 188, ხატვა-ხაზვის — 26, სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის — 121 და შრომის — 89 მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის ზაფხულში დახელოვნების კურსების საშუალებით პედაგოგიური კვალიფიკაცია აუმაღლდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს არაქართული სკოლების 619 მასწავლებელს, მათ შორის: რუსული სკოლების — 305-ს, აზერბაიჯანული სკოლების — 58-ს, სომხური სკოლების — 80-ს, აფხაზური სკოლების — 82-ს და ოსური სკოლების — 94 მასწავლებელს.

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, ქ. ქუთაისის, ცაგერის, აბაშის, ზესტაფონის, ცხაკაიას, წყალტუბოს, საგარეჯოს, წალენჯიხის, მარნეულის, დუშეთის, საჩხერის, თერჯოლის, ტყიბულის, თელავისა და ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილებებმა უზრუნველყვეს კურსებზე გასაგზავნ მასწავლებელთა სწორად შერჩევა, მსმენელთა კონტინგენტის გეგმის შესრულება და კურსებზე დროულად მივლინება.

საზაფხულო საკურსო ღონისძიებების გატარების საქმეში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ნაკლოვანებებსაც.

ქ. თბილისის საქალაქო, ახალქალაქის, ლენტეხის, ადიგენის, თიანეთის, ჩხოროწყუს, ფოთის, ონის, ყაზბეგის, გეგეჭკორის, ბოლნისის, მესტიის, ორჯონიკიძის, წალკის, ახალციხის, დმანისის, გარდაბნის, ბოგდანოვკის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა არ მიიღეს საჭირო ზომები მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ვერ უზრუნველყვეს დახელოვნების კურსებზე გამოსაგზავნ მასწავლებელთა კონტინგენტის გეგმის შესრულება. ადგილი ჰქონდა დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა არასწორად შერჩევისა და კურსებზე დაგვიანებით მივლინება- გამოცხადების შემთხვევებს.

დახელოვნების ზოგიერთი კურსები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი შესაფერისი ბინებითა და საჭირო ინვენტარით, ხელსაწყოიარაღებითა და მასალებით, სათანადო ლიტერატურითა და ჟურნალ-გაზეთებით.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა შეიძინა სადურგლო სახელოსნოსათვის დაზგები, სახარატო ჩარხები და საზეინკლო ინსტრუმენტები, მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვს შეძენილი საზეინკლო სახელოსნოსათვის საჭირო დაზგები და არ

არის მოწყობილი სახელოსნოები, რის გამოც ზოგიერთი კურსებს მუშაობა წარმოებს სხვა დაწესებულებათა ბაზაზე, რაც გართულებულ დაღს ასვამს კურსების მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა ბიბლიოთეკა ნების კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გ. ასპინძელაშვილს:

ა) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი 1957 წლის საკურსო ღონისძიების გეგმის შესასრულებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა და მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების საქმეს და მეთოდურ ხელმძღვანელობას;

ბ) დახელოვნების კურსებზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის მიერ განათლების მუშაკთა წინაშე დაყენებულ ამოცანებს;

გ) გაატაროს ღონისძიებანი დახელოვნების კურსების ლექტორთა შემადგენლობის გაუმჯობესების, ლექციებისა და პრაქტიკული მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადება-გავრცელებისათვის. კურსების სასწავლო გეგმას საფუძვლად დაედოს სკოლის ახალი სასწავლო გეგმა, პროგრამები, სახელმძღვანელოები და სკოლების წემოწმების შედეგად მიღებული მითითებანი;

დ) მიიღოს სათანადო ზომები მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პოლიტექნიკური სახელოსნოების მოწყობის დასამთავრებლად და უზრუნველყოს კურსები საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და შესაფერისი ბინებით.

ე) დახელოვნების კურსებზე მივლინებული საგნის არმცოდნე და სუსტი მასწავლებლების შესახებ მასალები გამოგზავნოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ზომების მისაღებად.

ვ) მიიღოს ყველა საჭირო ზომა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის ჩამოყალიბების დამთავრებისა და მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგეებს:

ა) გააძლიერონ ზრუნვა მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. არ დაუშვან შემდგომისათვის ინსტიტუტის მიერ მიცემული კურსებზე მსმენელთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობა და ხელმძღვანელი დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის შერჩევის შესახებ; მიიღონ გადამწყვეტი ზომები განათლების იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც არ ზრუნავენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, თავს არიდებენ დონისა და ხელოვნების კურსებზე წასვლას;

ბ) აღრიცხონ და წეისწავლონ განათლების მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარებული მუშაობა თავიანთ სამოქმედო რაიონებში, დააზუსტონ 1958 წლისათვის დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტი (კურსების სახეების მიხედვით) და ა/წ 10 დეკემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას რეალური განაცხადი 1958 წელს დახელოვნების კურსებზე მისავლინებელ მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა რაოდენობის შესახებ.

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. ნ. გერიას, განათლების სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსს ამხ. ი. კვაჭაძეს და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გ. ასპინძელაშვილს ა/წ 15 ოქტომბრამდე დაამთავრონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის ორგანიზაციული ჩამოყალიბება, განათლების სამინისტროს ა/წლის 17 ივლისის № 1175 ბრძანების შესაბამისად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს დროულად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი საჭირო თანხებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას დროულად გამოუყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს პოლიტექნიკური სახელოსნოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები და ინვენტარი.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ მიიღოს ქმედითი ზომები მასწავლებელთა დახელონების ინსტიტუტის შენობათა რემონტის დამთავრებისათვის ა/წლის 1 ოქტომბრამდე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წლის 13 სექტემბრის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1461

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 25 სექტემბერი

ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული საშუალო სკოლის ზოგიერთი კურსდამთავრებულის შესახებ

უმაღლეს სასწავლებლებში ოქროს მედალოსნებთან გასაუბრებისა და ვერცხლის მედალოსნების გამოცდების შედეგები ადასტურებენ, რომ ბევრმა სკოლამ არსებითად გააუმჯობესა სწავლების ხარისხი და უზრუნველჰყო მოსწავლეების შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით.

მაღალი მომზადება გამოამჟღავნეს და ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები: ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 302, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 278, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში 79; თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 96, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 111 და ა. შ.

მიუხედავად ამისა, მთელი რიგი სკოლები სათანადოდ არ მუშაობენ იმისათვის, რომ მოსწავლეებს მისცენ მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა. მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს თვალსაზრისისა და ლიბერალიზმის მავნე პრაქტიკას; ზოგიერთი მასწავლებელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს, ხოლო სკოლის ხელმძღვანელები საჭირო კონტროლს არ ახორციელებენ მასწავლებელთა საქმიანობაზე და არ ატარებენ სათანადო ღონისძიებებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოსაფხვრელად.

ზოგიერთი საგამოცდო კომისიის წევრებმა არ უზრუნველჰყვეს

გამოცდებზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. მისცეს მათ „შპარგალკებით“ სარგებლობის საშუალება, შეასუსტეს მოთხოვნა მოსწავლეების მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედლების მინიჭების საქმეში წელს განსაკუთრებით ძნიშ მდგომარეობა შეიქმნა, იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა მათემატიკაში წერითი გამოცდა, რითაც განათლების სამინისტრომ დაკარგა მათემატიკაში მედლის კანდიდატების მომზადების შემოწმების საშუალება. მედალოსანთა დიდმა უმრავლესობამ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას სწორედ მათემატიკაში გამოამჟღავნა არადამაკმაყოფილებელი მომზადება. განსაკუთრებით სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს მათემატიკაში: ვერცხლის მედალოსნებმა ზ. ი. კაპანაძემ (ახალციხის რაიონი, აწყურის საშ. სკოლა, დირექტორი კ. ბუაძე მასწავლებელი ი. თედიაშვილი), ი. ა. პოპიაშვილმა (წითელწყაროს რაიონი, გამარჯვების საშუალო სკოლა, დირექტორი თ. გონაშვილი, მასწავლებელი ნ. შეშენიძე), გ. ვ. გვარამაძემ (თიანეთის მოზრდილთა საშუალო სკოლა, დირექტორი და საგნის მასწავლებელი პ. ხელაძე), ჯ. ა. გაფრინდაშვილმა და ბ. მ. გაბისონიამ (გეგეჭკორის პირველი საშ. სკოლა, დირექტორი ვ. ხაჟომია, მასწავლებელი ს. ხუნწარია), ლ. ტ. გრიგალაშვილმა (ხაშურის რაიონი, ქვიშხეთის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. მანჩხაშვილი, მასწავლებელი მ. ხიზანოვი), გ. ს. საჯაიამ (ქედის საშუალო სკოლა, დირექტორი ს. საჯაია, მასწავლებელი პ. ქაჯაია), მ. ა. კვანჭიანმა (მესტიის რაიონი, ხაიშის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. გულედიანი, მასწავლებელი ვ. ჭკადუა), ლ. პ. ბალახაშვილმა (ადიგენის რაიონი, აბასთუმნის საშუალო სკოლა, დირექტორი თ. ბახტაძე, მასწავლებელი ნ. ქარელი), ჯ. გ. ცხაკაიამ (ზნაურის რაიონი, ავნევის საშუალო სკოლა, დირექტორი მ. მინდიაშვილი, მასწავლებელი გ. გობეჯიშვილი), ჯ. შ. ოიკაშვილმა (ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. მაღლაფერიძე, მასწავლებელი ა. კოზმავა), ო. გ. ყაველაშვილმა (ლაგოდეხის რაიონი, აფენის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ლობჟანიძე, მასწავლებელი ა. შუბითიძე); დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს აგრეთვე რუსულ ენასა და ლიტერატურაში ლ. ნ. სიგუამ (გეგეჭკორის რაიონი, სერგიეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ვ. ახალაია, მასწავლებელი ლ. გ. ძაგანია), ლ. ი. ონიანმა (ლენტეხის საშუალო სკოლა, დირექტორი რ. ა. ფოჩიანი, მასწავლებელი ე. ა.

ხაბულიანი), ლ. პ. რიჟინაშვილმა (ქ. ქუთაისის IX საშუალო-სკოლა. დირექტორი ი. წულეისკირი, მასწავლებელი ა. კახიანი).

სუსტი მომზადება გამოავლინეს და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვაზე უარი ეთქვათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

1. ლ. პ. თავაძეს (ქ. თელავის მესამე საშუალო სკოლა);
2. თ. კ. ქარაბაკს (მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის საშ. სკოლა);
3. გ. ე. წიწუაშვილს (სტალინირის საშ. სკოლა);
4. ე. პ. პეტრიაშვილს (სიღნაღის რაიონი, ბოდბისხევის საშ. სკოლა);
5. ლ. რ. სეფაშვილს (ყვარლის II საშ. სკოლა);
6. ლ. კ. ტვილდიანს (ქ. სოხუმის VI საშ. სკოლა);
7. მ. კ. ჩხიკვაძეს (ქ. თბილისის 53-ე საშ. სკოლა);
8. ვ. ა. დარახველიძეს (ქ. გურჯაანის საშ. სკოლა);
9. ც. ვ. ექვთიმიშვილს (საგარეჯოს რაიონის მანავის საშუალო სკოლა);
10. დ. გ. გიორგაძეს (ქ. ბათუმის მეორე საშ. სკოლა);
11. ვ. ა. მოსიაშვილს (ახმეტის რ. ქისტაურის საშ. სკოლა);
12. ჯ. მ. მაკარიძეს (ქ. ახალციხის პირველი საშუალო სკოლა);
13. ფ. გ. ლობჟანიძეს (ლაგოდეხის რ. აფენის საშ. სკოლა);;
14. მ. ვ. ნუცუბიძეს (სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა);

ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში:

1. მ. გ. კინკრიაშვილს (გორის რაიონის, ტყვიავის საშ. სკოლა),
2. ვ. ხ. სარქისიანს (ქ. თბილისის 7-ე საშუალო სკოლა);
3. გ. კ. ჯინჯიხაძეს (ტყიბულის რაიონი, ორპირის საშ. სკოლა);
4. ნ. გ. წიქორიძეს (ქ. ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლა);
5. გ. ი. ნინიკაშვილს და ფ. მ. სულაშვილს (ახმეტის რაიონი ქისტაურის საშუალო სკოლა);
6. ზ. შ. ლოლუას (სიღნაღის რაიონი, ვაქირის საშ. სკოლა);
7. ზ. გ. წუწუნავას (ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა);
8. მ. ნ. გვალიას (ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლა);
9. ა. მ. კანდაუროვს (მახარაძის რაიონი, ოჩხამურის საშუალო სკოლა);

10. ე. ხ. ჩახმაჩევას (ქ. თბილისის 78-ე საშუალო სკოლა);
11. ვ. ვ. კორნოვსკის (ქ. თბილისის 78-ე საშუალო სკოლა);
12. მ. რ. ვანიანს (ქ. თბილისის 91-ე საშუალო სკოლა);
13. ვ. დ. თაზიშვილს (ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლა);
14. მ. ვ. სვანიძეს (ქ. თბილისის 63-ე საშუალო სკოლა);
15. ი. პ. გევორქიანს (გარდაბნის საშუალო სკოლა);

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:

1. მ. ი. ნიკოლეიშვილს, ს. მ. კუპრაშვილს, ხ. დ. შარაშიძეს (ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა);
2. მ. ვ. ლატარიას (ხობის საშუალო სკოლა);
3. გ. ა. შენგელიას (ქ. ქუთაისის მესამე საშუალო სკოლა);
4. რ. ზ. ბანძელაძეს (ქ. მახარაძის პირველი საშუალო სკოლა);
5. გ. ვ. ღლონტს (მახარაძის რაიონი, ნაგომარის საშუალო სკოლა);
6. უ. დ. ბუნტურიძეს (ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლა);
7. ნ. გ. თვაურს და პ. ა. ტორჩინავას (ქ. გორის პირველი საშუალო სკოლა);
8. ლ. მ. ზარანდიას (ვანის საშუალო სკოლა);
9. პ. ვ. ჯანჯღავას (გეგეჭკორის რაიონი, დიდიჭყონის საშუალო სკოლა);
10. მ. ვ. შანიძეს (სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა);
11. გ. გ. ახვლედიანს (გეგეჭკორის რაიონი, სალხინოს საშუალო სკოლა);
12. გ. ვ. ლორენციას (ქ. თბილისის 96-ე საშუალო სკოლა);
13. ა. რ. დავითაშვილს (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშუალო სკოლა);
14. ლ. ლ. ეჯიბიას (ცხაკაიას მეორე საშუალო სკოლა);
15. შ. პ. წურწუმიას (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა);
16. ა. ლ. შალამბერიძეს (ზესტაფონის რაიონი, ძირულის საშუალო სკოლა);
17. ნ. შ. კობიაშვილს (თბილისის გარეუბნის რაიონი, მარტყოფის საშუალო სკოლა);
18. ჯ. პ. ჯაფარიძეს (ონის საშუალო სკოლა);
19. ი. მ. კიკვიძეს (ამბროლაურის რაიონი, ჭრებალოს საშუალო სკოლა);
20. ც. შ. ამირანაშვილს (ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლა);

21. ლ. პ. მაკაძეს (ბორჯომის მეორე საშუალო სკოლა);

22. ე. ნ. თარხნიშვილს (ახალქალაქის საშუალო სკოლა);

23. ო. პ. კობიაშვილს (თელავის მეოთხე საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

1. ბ. ქ. რამიშვილს (ჩოხატაურის რაიონი, საჭამიასერის საშუალო სკოლა);

2. ი. პ. მერლინს (მესტიის საშუალო სკოლა);

3. ჯ. ა. ჟამუტაშვილს (დუშეთის პირველი საშუალო სკოლა);

4. პ. ი. კალმაზოვს (წალკის რაიონი, ბეშტაშენის საშ. სკოლა);

5. ე. ბ. გახარიას (ჩხოროწყუს რაიონი, მუხურის საშ. სკოლა);

6. ჯ. გ. შენგელიას (ჩხოროწყუს რაიონი, ჭოლის საშუალო სკოლა);

7. ნ. კ. ლიკლიკაძეს (ლაგოდეხის რაიონი, ორჯონიკიძის საშუალო სკოლა);

ვთვლი რა ზემოთ დასახელებული მედალოსნების დაბალ მომზადებას შეუწყნარებელ ფაქტად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ზ. ი. კაპანაძის, ი. პ. პოპიაშვილის, ჯ. პ. გაფრინდაშვილის, ბ. მ. გაბისონიას, ლ. ტ. გრიგოლაშვილის, მ. ა. კვანჭიანის, ლ. პ. ბალახაშვილის, ჯ. შ. ოიკაშვილის, ო. გ. ყაველაშვილის, ლ. ი. ონიანის, ლ. პ. რიჟინაშვილის მედლებით დაჯილდოების შესახებ. საშუალო სკოლის აღნიშნულ კურსდამთავრებულებს მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშის სიმწიფის ატესტატები.

2. მათემატიკისა და რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების ცუდად დაყენებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი შეუწყნარებელი ლიბერალური დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური:

მათემატიკის მასწავლებლებს ი. თედიაშვილს (ახალციხის რაიონი, აწყურის საშ. სკოლა), ს. ხუნწარიას (გეგეჭკორის პირველი საშ. სკოლა), მ. ხიზანოვს (ხაშურის რაიონი ქვიშხეთის საშ. სკოლა), ვ. ჭკადუას (მესტიის რაიონი ხაიშის საშ. სკ.), ნ. ქარელს (ადიგენის რაიონის აწყურის საშუალო სკოლა), ა. კოზმავას (ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა), პ. შუბითიძეს (ლაგოდეხის რაიონის აფენის საშუალო სკოლა); რუსული ენისა და

ლიტერატურის მასწავლებლებს ე. პ. ხაბულიანს (ლენტეხის საშუალო სკოლა), ნ. კახიანს (ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა).

3. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი უპასუხისმგებლობა დამოკიდებულებისა და გამოცდებზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობისათვის გამოეცხადოთ საყვედური ახალციხის რაიონის აწყურის საშუალო სკოლის დირექტორს კ. ბუაძეს, წითელწყაროს რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორს თ. გონაშვილს, გეგეჭკორის პირველი საშულაო სკოლის დირექტორს ვ. ხაჟომიას, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის დირექტორს გ. მანჩხაშვილს, მესტიის რაიონის ხაიშის საშუალო სკოლის დირექტორს ი. გულედიანს, ადიგენის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლის დირექტორს თ. ბახტაძეს, ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის დირექტორს ი. წულეისკირს, ლაგოდეხის რაიონის აფენის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ლობჟანიძეს, ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორს რ.ფოჩხიანს.

4. აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების კურსდამთავრებული მედალოსნების მასალები გადაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მტკიცე კონტროლი განახორციელონ ბრძანებაში აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, მიმდინარე სასწავლო წელს საფუძვლიანად შეისწავლონ ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

6. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, სათანადო ღონისძიებათა დასახავად.

7. თიანეთის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორის ა. ხელაძის და გეგეჭკორის რაიონის სერგიეთის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწვლებლის დ. ძაგანიას გამოუცხადებლობის გამო, მათი საკითხი განხილულ იქნას კოლეგიის მორიგ სხდომაზე.

8. განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ აღნიშნულ მოსწავლეთა სახელზე გაცემული ვერცხლის მედლის ატესტა-

ტების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი სახის ატესტატების მიღება და გაცემა.

9. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 20 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1477

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 30 სექტემბერი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გამოკვლევით დადასტურებულია, რომ საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმე, არ ექცევა სათანადო ყურადღება სიმღერისა და ხატვის სწავლებას. სკოლის სასწავლო გეგმებში სიმღერისა და ხატვის გაკვეთილები გათვალისწინებულია მხოლოდ დაწყებით კლასებში, ხშირად ეს საათებიც არ არის გამოყენებული მიზნობრივად. დაწყებითი კლასების მასწავლებლები ზოგ შემთხვევაში ამ საგნებისათვის განკუთვნილ საათებს სხვა საგნებს ახმარებენ, ზოგ შემთხვევაში აღნიშნული კლასების მასწავლებლებს თვით არ გააჩნიათ ამ საგნების სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარი.

პედაგოგიური სასწავლებლები, სადაც მზადდებიან დაწყებითი კლასების მოსწავლეები, თავიანთ კურსდამთავრებულებს ვერ აწვდიან საჭირო ცოდნას ამ დარგში.

დღემდე სკოლებს არა აქვთ მყარი და თანმიმდევრულად შედგენილი პროგრამები მუსიკასა და ხატვაში.

მოსწავლეთათვის არ მუშავდება და არ იცემა მუსიკალური ლიტერატურა და მასალები—ნოტების კრებულები, სიმღერათა კრებულები და სხვა.

მუსიკისა და ხატვის მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს სკოლების მომარაგება თანამედროვე სახის მუსიკალური ინსტრუმენტებით.

სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას სათანადო ყურადღება არ ეთმობა სიმღერისა და ხატვის სწავლების დაყენების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს დღემდე არ შეუსრულებია განათლების სამინისტროს 1951 წლის ბრძანება 1953 წლისათვის სიმღერის მასწავლებელთათვის მეთოდიკური სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს უკანასკნელი წლების განმავლობაში მუსიკის და ხატვის მასწავლებელთა გადამზადება არ უწარმოებია.

ვანიჭებ რა დიდ მნიშვნელობას სიმღერისა და ხატვის სწავლებას ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1958-59 სასწავლო წლიდან სიმღერისა და ხატვის სწავლება გათვალისწინებულ იქნას იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VI კლასებში, სადაც საამისოდ მინიმალური შესაძლებლობანი არსებობს.

დაევალოს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებას სათანადო სპეციალისტების მეშვეობით 1958 წლის მარტამდე დაამუშაოს ამ საგნების სწავლების პროგრამა სათანადო მეთოდური მითითებებით.

2. დაევალოს პედაგოგიური სასწავლებლებისა და ინსტიტუტების სამმართველოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პედაგოგიური სასწავლებლებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების დაწყებითი სკოლის ფაკულტეტებზე მუსიკისა და ხატვის სწავლების დაყენებას.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ 1958 წლისა და მომდევნო წლების ბიუჯეტში ამ მიზნით გაითვალისწინოს საჭირო ასიგნებანი, აგრეთვე თანხები მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად და მუსიკაში საწრეო მუშაობის გასაძლიერებლად.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1958 წელში განახორციელოს მეთოდური კრებულის გამოცემა მუსიკის მასწავლებელთა დასახმარებლად, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა 1958 წლის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინოს ხატვისა და მუსიკის მასწავლებელთა გადამზადება.

5. დაევალოს სკოლების სამმართველოს (გ. საყვარელიძეს) სკოლების საინსპექტორო გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუსიკისა და ხატვის სწავლებას რესპუბლიკის სკოლებში და კონკრეტული დახმარება გაუწიოს სკოლებს ადგილებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1479

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 30 სექტემბერი

ჩემი 1957 წლის 25 სექტემბრის № 1461 ბრძანების დამატებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ლ. ნ. სიგუას (გეგეჭკორის რაიონი, სერგიეთის საშ. სკ.) ვერცხლის მედლით დაჯილდოების შესახებ და მიეცეს მას ჩვეულებრივი ნიმუშის სიმწიფის ატესტატი.

2. რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების ცუდად დაყენებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი შეუწყნარებელი ლიბერალური დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გეგეჭკორის რაიონის სერგიეთის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. გ. ძაგანიას.

3. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და გამოცდებზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური გეგეჭკორის რაიონის სერგიეთის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ახალაიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ კოლეგიის 1957 წლის 27 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1510

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 7 ოქტომბერი

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1956—1957 სასწავლო წლის შედეგების შესახებ

როგორც შემოწმებით, აგრეთვე ადგილებიდან წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ საბავშვო სახლებმა და სპეციალურმა სკოლა-ინტერნატებმა გასული 1956—1957 სასწავლო წელი დამაკმაყოფილებლად დაამთავრეს.

1957 წლის 1 ივლისისათვის საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ირიცხებოდა 3.284 აღსაზრდელი. მათ შორის სასკოლო ასაკის 2.854 და სკოლამდელი ასაკის 430.

სასწავლო წლის ბოლოს სწავლებაში ჩაბმულ 2.796 მოსწავლიდან შეფასებულ იქნა 2.764, ამათგან სულ ასწრებდა 2,698 მოსწავლე. ამ რაოდენობიდან 5-ზე შეფასებული იქნა 277, 4-ზე 624, 3-ზე 1797 მოსწავლე. იმავე კლასებში დატოვებული იქნა სულ 66 მოსწავლე. ე. ი. აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება უდრის 97,6%-ს. მათ შორის 4-ზე და 5-ზე ასწრებდა 33,3%.

სასწავლო მუშაობა კარგად იყო დაყენებული: ქ. თბილისის უსინათლო და ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, კოჯრის პირველ, მეოთხე, მეხუთე, მახარაძის, ვაშლოვანის, თელავის, ქურთას, კარდანახისა და კასპის საბავშვო სახლებში.

გასულ სასწავლო წელს კარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ პედაგოგები: მ. მანტკავა, ჩიქოვანი, ტაბატაძე, ჭიაურელი (ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი), ჩანჩიბაძე, ოთხმეზური, ინწკირველი, ქართველიშვილი (მახარაძის საბავშვო სახლი), ჭიჭიაშვილი, ვართანოვა, არუთინოვა (თელავის საბავშვო სახლი), ლეჟავა, ქავალიანი, ფაღავა, ბზუკაშვილი (ვაკის საბავშვო სახლი), პაპიაშვილი, ქოჩიაშვილი, ტორიაშვილი (კარდანახის საბავშვო სახლი) და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასულ სასწავლო წელს საგრძნობლად განმტკიცდა საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-სამეურნეო ბაზა.

ამ მხრივ კარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ ქ. თბილისის უსინათლო და ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები, კოჯრის მეოთხე, ქურთის, მახინჯაურის და ვაშლოვანის საბავშვო სახლები.

წინა 1955—1956 სასწავლო წელთან შედარებით, გასულ სასწავლო წელს საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ბავშვთა სამედიცინო მომსახურება. ამ საქმეში კარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ ბათუმის, მახარაძის, კოჯრის მეორე, ვაკისა და ვაშლოვნის საბავშვო სახლები.

კარგად არის დაყენებული სკოლის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობა მახარაძის, კოჯრის პირველი, ბათუმის, განთიადის საბავშვო სახლებში და თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, ხოლო შრომითი აღზრდის საქმე მახარაძის, მახინჯაურის, განთიადის, ქურთას საბავშვო სახლებში და ქუთაისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

სასწავლო წელი არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრეს ლენინგორის, ეწრის, სურამის და კოჯრის მესამე საბავშვო სახლებმა.

მთელი რიგი საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ მატერიალურ-სამეურნეო ბაზის განმტკიცებისათვის.

კოჯრის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ბორჯომის, ჩოხატაურის, ლენინგორის, სურამის, კარდანახის, ეწრის, გეგეჭკორის, ზუგდიდისა და სხვა საბავშვო სახლებში, ქ. თბილისის პირველ, ახალციხის, სიღნაღის, და ზედარგანის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომის ოთახები არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ხელსაწყო იარაღებით. ამ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში შრომითი აღზრდისა და სწავლების საქმე ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ცუდად მუშაობენ საშეფო ორგანიზაციები და მზრუნველთა საბჭოები. ისინი იშვიათი გამონაკლისის გარდა არავითარ დახმა-

რებას არ უწევენ საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო სახლების დირექტორები არ ღებულობენ ერთიანი ზომებს, ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა სამუშაოზე მოწყობისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, მოწინავე აღმზრდელთა მუშაობის ურთიერთ გამოცდილების გაზიარების საფუძველზე;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ ზოგადტექნიკური შრომითი სახელოსნოების მუშაობა პროგრამებისა და მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, არ დაუშვან 'აღსაზრდელთა შრომაში ჩაუბმელობის არცერთი შემთხვევა;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;

დ) სისტემატურად იზრუნონ აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებაზე. მტკიცედ იბრძოლონ იმისათვის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეუფერხებლად მოამარაგონ საბავშვო სახლები და სპეცსკოლა-ინტერნატები კვების პროდუქტებით დადგენილი ნორმების მიხედვით;

ე) გააუმჯობესონ მუშაობა საშეფო ორგანიზაციებთან და მზრუნველთა საბჭოებთან.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) მ/წლის 15 ოქტომბრამდე წარმოადგინოს პროექტი საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად საჭირო სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნისათვის სათანადო დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს საბავშვო სახლები და სპეციალური სკოლები სასწავლო-შრომითი სახელოსნოებისათვის საჭირო იარაღ-მოწყობილობით.

4. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე):

ა) კადრების განყოფილებასთან ერთად უზრუნველყოს საბავშვო სახლები და სპეცსკოლები კვალიფიციური კადრებით;

ბ) გაატაროს ქმედითი ღონისძიება საბავშვო სახლებში, დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად და არსებული დამხმარე მეურნეობების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 27 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1508

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 7 ოქტომბერი

გავეცანი რა განათლების სამინისტროს მიერ 1957 წ. 26 სექტემბერს ჩატარებული სკოლა-ინტერნატებისა და სასკოლო ინტერნატების დირექტორების თათბირის მასალებს,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ განუხრელად შეასრულონ განათლების სამინისტროს 1957 წლის 3 მაისის ბრძანება № 533 „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"; ამავე დროს კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა უზრუნველყონ 1957 წლის 25 მაისის № 655 ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა სრულად განხორციელება.

II. სასკოლო ინტერნატების დირექტორებმა:

1. მიიღონ საჭირო ზომები სასკოლო ინტერნატში ჩასაბმელი კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად და ინტერნატის შესაფერისი ბინით, მოწყობილობით და ინვენტარით უზრუნველსაყოფად;

2. არსებითად გააუმჯობესონ აღმზრდელთა მუშაობა; უზრუნველყონ, რომ აღმზრდელები ქმედითად ეხმარებოდნენ მოსწავლეებს სკოლაში მიღებულ დავალებათა შესრულებაში; წარმართავდნენ მოსწავლეებთან მასობრივ-კულტურულ მუშაობას; უმუშავებდნენ აღსაზრდელებს კულტურული ქცევის წესებს, რათა ისინი არ აღვევდნენ ინტერნატში დაწესებულ რეჟიმს, მოსწავლის ქცევის წესებსა და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს; ხელმძღვანელობდნენ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას; მუდმივ საქმიან კავშირში იყვნენ მოსწავლეთა მშობლებთან;

3. გადაჭრით გააუმჯობესონ აღსაზრდელთა მამასახლისისა და მისი თანაშემწეების მუშაობა; მათი საქმიანობა წარმართონ ინტერნატის მოსწავლეთა ერთიანი მტკიცე და მიზანმიმართულ ტივის შექმნისაკენ, **აღსაზრდელთა აქტიური** სასწავლო და შრომითი საქმიანობის ფართოდ გაშლისაკენ; უზრუნველყოფილ იქნას, რომ მამასახლისები აღმზრდელთა ხელმძღვანელობით აღწევდნენ ინტერნატში დაწესებული რეჟიმის შესრულებას ყველა მოსწავლის მიერ; აწყობდნენ მოსწავლეთა მორიგეობას, ეხმარებოდნენ სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს და ნაყოფიერად წარმართავდნენ საგნობრივი და ტექნიკური წრეების მუშაობას;

4. გამოიჩინონ სათანადო ინიციატივა მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში; უზრუნველყონ, რომ ინტერნატის მოსწავლეთათვის ეწყობოდეს საერთო კვება ცხელი საჭმლით, როგორც მშობლების მიერ გაღებული, ისე სკოლის ნაკვეთიდან ან დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტებისა და ფულადი სახსრების ხარჯზე;

5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინტერნატების ეზოებსა და საძინებელ კორპუსებში სისუფთავის დაცვას; იკვირაში ერთხელ ჩაატარონ საძინებელი კორპუსების და ეზოს გენერალური დასუფთავება, ჩააბან ამ საქმეში ყველა აღსაზრდელი; მოსთხოვონ აღმზრდელებს მეტი ყურადღება მიაქციონ თვითმომსახურებისა და პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვას აღსაზრდელებში;

6. ამთავითვე მიიღონ ზომები სასკოლო ინტერნატების სათბობით უზრუნველსაყოფად.

7. განათლების განყოფილებათა გამგეებმა: პერიოდულად შეისწავლონ სასკოლო ინტერნატების მუშაობა და შემოწმების შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე; დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

8. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ნ ჯიბლაძე
5 ოქტომბერი, 1957 წელი

მითითებანი

სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, წარმოებებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

2. ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები, ან ამ ტიპის სასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდები, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებულები სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში არ მიიღებიან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ა) სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დაწყებით კლასებში შეიძლება იმ პირთა ჩარიცხვა, რომლებიც არ მუშაობენ და ასაკის მიხედვით არ შეეფერებიან მასობრივი სკოლების შესაბამის კლასებს;

ბ) პირველ კლასში ჩაირიცხებიან წერა-კითხვის უცოდინარნი, ხოლო მეორე კლასში წერა-კითხვის მცოდნენი.

3. სოფლის ახალგაზრდობის დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლად გახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თითოე-

ული სკოლისათვის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

4. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი (გამგე) მოსწავლეთა რაოდენობისა და ახალი სასწავლო წლისათვის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის საფუძველზე, განსაზღვრავს რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნას მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

5. ახალი ნაკადის მიღება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ცხადდება 1-ლი აგვისტოდან; სკოლაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი კოლმეურნეობაში ატარებს ახსნა-განმარტებითს მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიოსატრანსლაციო ქსელით.

6. სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში შემსვლელი პირი სკოლაში მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ბ) დაბადების მოწმობას;

დ) სამკურნალო დაწესებულების ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

7. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და საბუთებს ღებულობს პირადად სკოლის დირექტორი (გამგე).

სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ განცხადებათა მიღება წყდება 20 ოქტომბერს.

8. ის პირები, რომლებიც სწავლაში დიდი წყვეტის გამო სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ საბუთს განათლების შესახებ, აბარებენ მისაღებ გამოცდებს წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V.VI და VII კლასები—მშობლიურ ენაში, რუსულ ენასა და მათემატიკაში (წერითი);

VIII-IX-X კლასები: მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში, ფიზიკასა და ქიმიაში (ზეპირი).

9. მისაღები გამოცდები ტარდება 20-დან 30 ოქტომბრამდე.

10. სოფლის ახალგაზრდობის სკოლის XI კლასში შემსვლელი პირებისათვის განათლების შესახებ საბუთის წარდგენა აუცილებელია.

11. ის პირები, რომლებსაც აქვთ საბუთები შვიდწლიანი საშუალო სკოლების ამა თუ იმ კლასების დამთავრების შესახებ, ჩაირიცხებიან სოფლის ახალგაზრდობის სკოლის შესაბამის კლასებში, გამოცდების გარეშე.

12. სოფლის ახალგაზრდობის სკოლის XI კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვას აწარმოებს რაიონის განათლების განყოფილება.

13. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის ან საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემთხვევის გარდა აკრძალულია.

14. მისაღები გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

15. შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

16. მასობრივი სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ.

17. სკოლაში ახალმიღებულ თითოეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1951 წლის 26 თებერვლის № 8/117 ცირკულარული წერილის ის ნაწილი, რომელიც სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღებას ეხება.

სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილების უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 1282/კ—საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა უფლებების გაფართოების შესახებ 3
2. ბრძანება № 1310—საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედური პუნქტების დებულების დამტკიცების შესახებ 5
3. დებულება საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედური პუნქტების შესახებ 6
4. ბრძანება № 1433—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1957 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შედეგების შესახებ 21
5. ბრძანება № 1461—ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული საშუალო სკოლის ზოგიერთი კურსდამთავრებულის შესახებ 26
6. ბრძანება № 1477—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 33
7. ბრძანება № 1479—№ 1461—ბრძანების დამატება 36
8. ბრძანება № 1510—საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1956—1957 სასწავლო წლის შედეგების შესახებ 37
9. ბრძანება № 1508 41
10. მითითებანი სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ 43

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი—მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI-57 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×92, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3, შეკვეთა № 2087.
ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного Управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

ფ-19376

უფასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახ. სამ. სახელმწ.
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა